განკარგულება:**g-81.81220103**
თარიღი:**10/01/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №3
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.03.23.032) საერთო ფართობით - 27.00 კვ. მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლების, ი/მ ,,ომარი დოღონაძის“ (პ/ნ 60001044858; უძრავის ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი NA-0827) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნის (N76; 09.12.2021წ) საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.03.23.032) საერთო ფართობით - 27.00 კვ. მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.
2. წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა-650 (ექვსასორმოცდაათი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-55 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი